საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანთაროსი

კანთაროსი (ბერძნ. kantharos), ძვ. წ. VI–II სს. ბერძნული ქუსლიანი, ღრმა, პირგადაშლილი ღვინის სასმელი ჭურჭელი ვერტიკალურად მიმაგრებული ორი ყურით. ამზადებდნენ უპირატესად თიხისაგან, ზოგჯერ – ლითონისგანაც. სხვადასხვა კ-ები განსხვავდება პროპორციებით, ყურის მოყვანილობითა და ქუსლის სიმაღლით. კ. ღვინის ღმერთის, დიონისეს ერთ-ერთი მუდმივი ატრიბუტი იყო.

ძვ. წ. IV–II სს. ბერძნ. თიხის შავლაქიანი კ-ები აღმოჩენილია საქართველოშიც (სოხუმი, ვანი, დაბლაგომი, ფიჭვნარი, ნოქალაქევი და სხვ.).

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., ანტიკური არქეოლოგია, თბ., 1971; Б л а в а т с к и й В. Д., История античной расписной керамики, [М]., 1953.

ი. გაგოშიძე